ოქმი:**ო63. 6325248001**
თარიღი:**05/09/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 22

ქ. სამტრედია. 3 სექტემბერი, 2025 წელი.

2025 წლის 3 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. მოქალაქე, ქეთევან კოპალეიშვილის, 2025 წლის 1 სექტემბრის N:19/632524416-63 განცხადების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

3. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (**7 ხმით),** მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 სექტემბრის*** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წინადადებას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. რათა საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2025-2029 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულება.

(მომართვის N: 62-622524550, 2/09/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63252454-63 2/09/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

2. მოქალაქე ქეთევან კოპალეიშვილის 2025 წლის 1 სექტემბრის N:19/632524416-63 განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, ქალაქ სამტრედიაში, რომელიმე ქუჩას, სკვერს, ხეივანს ან მეცნიერულ ცენტრს მიენიჭოს (ეწოდოს) მამის, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, თეიმურაზ კოპალეიშვილის, სახელი.

(განცხადების N:19/632524416-63, 1/09/2025 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი